საქართველოს მთავრობის

დადგენილება №203

2024 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №179 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №179 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/05/2023, 300160070.10.003.024012) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის“ დანართ №1-ის „მომსახურების“ ჩამონათვალს 48-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 49-ე გრაფა:

„49	საზედამხედველო მომსახურებები – დიზაინის (პროექტირების) საზედამხედველო მომსახურება, სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**